ლაპარაკი

I დავალება.

<u>პირველი შეკითხვა</u>.

რომელია თქვენი საყვარელი საბავშვო მწერალი? მისი რომელი ნაწარმოები მოგწონთ ყველაზე მეტად და რატომ?

<u>მეორე შეკითხვა</u>.

თქვენი ოჯახის რომელ წევრთან გიყვართ თავისუფალი დროის გატარება? რას აკეთებთ ხოლმე მასთან ერთად?

II დავალება.

როგორი ფილმები გიყვართ: სათავგადასავლო, კომედიური, დოკუმენტური თუ მელოდრამა და რატომ?

<u>პასუხი დაასაბუთეთ</u>!

III დავალება.

მოისმინეთ სიტუაციის აღწერა და იმსჯელეთ არგუმენტირებულად.

სიტუაცია:

მშობელთა კრებაზე წამოიწყეს კამათი სასწავლო პროცესში მშობლების მონაწილეობასთან დაკავშირებით. ზოგის აზრით, მშობელმა სისტემატურად უნდა შეამოწმოს, როგორ შეასრულა მისმა შვილმა საშინაო დავალება და მისი ყოველი ნაბიჯი გააკონტროლოს, ზოგის აზრით კი, მეტი თავისუფლება და დამოუკიდებლობა უნდა მისცე ბავშვს, რომ მისი პასუხისმგებლობა უფრო გაიზარდოს. თქვენ რას ურჩევდით მშობლებს და როგორ დაუსაბუთებდით თქვენს თვალსაზრისს?

არგუმენტირებულად დაასაბუთეთ თქვენი პოზიცია!